ციხის საერთაშორისო რეფორმა
სამხრეთ კავკასიის რეგიონული ოფისი



საინფორმაციო ბროშურა
2013

ციხის საერთაშორისო რეფორმა
სამხრეთ კავკასიის რეგიონული ოფისი
მის: ქიქოძის ქ. 16, თბილისი, 0105 საქართველო
ტელ. (+995 32) 2 98 35 60
www.penalreform.org

ციხის საერთაშორისო რეფორმა (PRI)

,,ციხის საერთაშორისო რეფორმა" (PRI) დაარსდა 1989 წელს და წარმოადგენს დამოუკიდებელი არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელიც შეიმუშავებს და ხელს უწყობს სისხლის სამართლის პრობლემებზე სამართლიან, ეფექტურ და პროპორციულ რეაგირებას მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ორგანიზაცია მუშაობს სასჯელაღსრულებისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის რეფორმებზე მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. მისი სათაო ოფისი მდებარეობს ლონდონში.

ჩვენი მიზანია ხელი შევუწყოთ პატიმრობის ალტერნატივებს, რომელიც ითვალისწინებს დამნაშავეთა რეინტეგრაციას და დამნაშავეთა სამართლიან და ჰუმანურ მოპყრობას. ჩვენ ვაწარმოებთ კამპანიას წამებისა და სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ, ასევე ვმუშაობთ, კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვებისა და ქალების საკითხებზე სათანადო და სამართლიანი რეაგირების უზრუნველსაყოფად.

ამჟამად ჩვენ გვაქვს პროგრამები ახლო აღმოსავლეთსა და აფრიკაში, ცენტრალურსა და აღმოსავლეთ ევროპაში, ცენტრალურ აზიასა და სამხრეთ კავკასიაში, ასევე ვმუშაობთ პარტნიორებთან აღმოსავლეთ აფრიკასა და სამხრეთ აზიაში.

PRI-ს რეგიონული ოფისი სამხრეთ კავკასიაში დაარსდა 1999 წელს თბილისში. ოფისი მუშაობს სასჯელაღსრულების სფეროში მიმდინარე რეფორმების ხელშეწყობაზე სამხრეთ კავკასიის სამ ქვეყანაში: საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში.

რეგიონში სისხლის სამართლის სისტემის განვითარების ხელშეწყობა ხორციელდება საერთაშორისო სტანდარტების გაცნობის, საუკეთესო პრაქტიკების გაზიარების, საერთაშორისო ექსპერტებთან, პენიტენციურ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სამთავრობო უწყებებთან მჭიდრო თანამშრომლობის საშუალებით.

ჩვენი მიზანია:

ჩვენ გვსურს დავინახოთ:

კანონის უზენაესობასთან შესაბამისობაში მყოფი სამართლიანი და ეფექტური სისხლის სამართლის სისტემა და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა.

საპატიმარო სასჯელის გამოყენების შემცირება არასაპატიმრო ალტერნატივების მეტად გამოყენების გზით.

ციხეში პირობების გაუმჯობესება და წამებისა და არასათანადო მოპყრობის, ასევე დასჯის აღკვეთა.

ბავშვთა მიმართ კეთილგანწყობილი მართლმსაჯულება, რომელიც აღიარებს ბავშვების განსაკუთრებული დაცვის უფლებას და პატიმრობას იყენებს, როგორც უკანასკნელ ზომას.

ქალთადელიქვენტობისსაკითხებზეპროპორციულიდაგენდერულად სენსიტიური რეაგირება, სპეციფიკური მახასიათებლებისა და საჭიროებების აღიარება სისხლის სამართლის სისტემაში.

სიკვდილით დასჯის გაუქმება და ჰუმანური ალტერნატიული სასჯელების დანერგვა.

მიზნების მისაღწევად რეფორმებზე ვმუშაობთ ადვოკატირებისა და პრაქტიკული პროგრამების საშუალებით, როგორც ცვლილებების კატალიზატორი. ჩვენ ვმუშაობთ ოთხ ურთიერთდაკავშირებულ დონეზე.

ვახდენთ სისხლის სამართლის რეფორმის ადვოკატირებას ეროვნულ, რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე, ხელისუფლებისა და მთავრობათაშორისი ორგანიზაციების წარმომადგენლების ჩართულობით.

ჩვენი რეგიონული ოფისები ახორციელებენ პრაქტიკულ პროგრამებს, უმეტესწილად, ადგილობრივ სამოქალაქო საზოგადოებასთან პარტნიორობით, ადამიანის უფლებებისა და საერთაშორისო სტანდარტების დაცვის ხელშეწყობის მიმართულებით.

შევიმუშავებთ და ვავრცელებთ ინფორმაციასა და რესურსებს ჩვენი პუბლიკაციებისა და ვებგვერდის მეშვეობით.

ვაძლიერებთ ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების შესაძლებლობებს სასჯელაღსრულების რეფორმაზე მუშაობის კუთხით და აგრეთვე ხელს ვუწყობთ მათ დიალოგს ხელისუფლებასთან ადამიანის უფლებების საკითხებზე.

ჩვენი მიდგომაა:

ჩვენ ვართ სპეციალიზებული ორგანიზაცია, რომელიც მუშაობს ეჭვმიტანილების, დამნაშავეებისა და პატიმრების უფლებებზე უფრო ფართო, სისხლის სამართლის სისტემის კონტექსტში.

კონსტრუქციული და მოქნილი ადვოკატირება

ჩვენ ვმუშაობთ ძალიან მრავალფეროვან, სხვადასხვა პოლიტიკური და სოციალური რეალობისა და სპეციფიურობის მქონე რეგიონებსა და ქვეყნებში. ჩვენ ვითვალისწინებთ ამ განსხვავებული კონტექსტებს და შესაბამისად ვაყალიბებთ მუშაობის სტრატეგიას. ჩვენი მიდგომა ითვალისწინებს გენდერულ და კულტურულ სპეციფიკას.

გვაქვს სისხლის სამართლის სფეროსა და სასჯელაღსრულების რეფორმაზე ეროვნულ, რეგიონულ თუ საერთაშორისო დონეზე 20 წელზე მეტი ხნის მუშაობის გამოცდილება. ამ გამოცდილებამ დაგვანახა, რომ ხელისუფლებასთან კონსტრუქციულ დიალოგში ჩართვა საშუალებას გვაძლევს მივაღწიოთ ცვლილებებს ზოგჯერ პოლიტიკურად ძალიან მგრძნობიარე გარემოშიც კი.

ჩვენი დამოუკიდებლობა და სპეციალიზებული ექსპერტიზა საშუალებას გვაძლევს ვიყოთ დაფასებული პარტნიორი, როგორც სახელისუფლებო, ასევე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის. ჩვენ ვინარჩუნებთ კურსს იმ სფეროში, სადაც პროგრესი შეიძლება იყოს ნელი და თანდათანობითი.

ჩვენი სამუშაო მეთოდები ეროვნულ დონეზე:

ადამიანის უფლებათა რეგიონული და საერთაშორისო სტანდარტებისა და ნორმების შესახებ ცნობიერების ამაღლება, მათ შორის ამ სტანდარტების ავტორიტეტული განმარტებების შემუშავება;

ადამიანის უფლებების რეგიონული და საერთაშორისო სტანდარტების განხორციელებისა და საუკეთესო პრაქტიკის მაგალითების შესახებ ინფორმაციის გავრცელება;

ადამიანის უფლებების ხელშეკრულებების რატიფიცირებაში პირველობა;

კვლევების წარმოება;

სისხლის სამართლისა და სასჯელაღსრულების ეროვნული სისტემების შეფასება მათი ადამიანის უფლებების სტანდარტებთან შესაბამისობის კუთხით, გაუმჯობესების მიზნით რეკომენდაციების შემუშავება და ამ რეკომენდაციების შესრულებისთვის საჭირო პროგრამების დანერგვა;

კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ისეთი მუშაკებისთვის ტრენინგების მიწოდება, როგორებიცაა ციხის თანამშრომლები, მონიტორინგის ორგანოები, მოსამართლეები, სოციალური და პრობაციის მუშაკები;

პარტნიორი ორგანიზაციების უნარ–შესაძლებლობების განვითარება.

რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე ჩვენი სამუშაო მეთოდები:

ადამიანის უფლებების არსებულ რეგიონულ და საერთაშორისო სტანდარტებში ხარვეზების გამოვლენა და მათ შესახებ ცნობიერების ამაღლება;

სტანდარტების შემუშავების ინიციატივებში წვლილის შეტანა;

სასწავლო მასალის შემუშავება;

ქვეყნისა და რეგიონულ დონეზე განხორციელებული პროექტების შესახებ ჩვენი გამოცდილების გაზიარება;

ჩვენი საკონსულტაციო და დამკვირვებლის სტატუსის მეშვეობით მთავრობათაშორის და ადგილობრივ ორგანოებთან, გაეროს ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოსთან, ევროსაბჭოსთან, ადამიანისა და ხალხთა აფრიკული კომიტეტისა და ბავშვის უფლებებისა და კეთილდღეობის აფრიკულ კომიტეტთან მუშაობა;

სამოქალაქო საზოგადოების კოალიციებსა და ქსელებთან თანამშრომლობა; ჩვენ ვართ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების

უწყებათაშორისი საბჭოს (IJJ), ასევე სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ მსოფლიო კოალიციისა და ჩთ -ის საკონტაქტო ქსელის წევრი;

ეროვნული, რეგიონული და საერთაშორისო კონფერენციების, სემინარების, გაცვლითი ვიზიტების ორგანიზება, სისხლის სამართლისა და სასჯელაღსრულების რეფორმის აქტივისტების, სპეციალისტებისა და ხელისუფლების წარმომადგენლების დაახლოება.

საქმიანობის ძირითადი მიმართულებები სამხრეთ კავკასიაში უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში (2003 – 2013 წწ.)

წამების წინააღმდეგ გაეროს კონვენციის ფაკულტატური ოქმის (ჩთ) ხელმოწერის, რატიფიკაციისა და იმპლემენტაციის ხელშეწყობა; ლობირება სამხრეთ კავკასიაში წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის ჩამოყალიბებისათვის, რომლის დანიშნულებაა თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში და დახურულ ინსტიტუციებში მონიტორინგი წამებისა და არაადამიანური მოპყრობის აღკვეთის მიზნით;

სასჯელაღსრულების დაწესებულებების საზოგადოებრივი კონტროლის ჯგუფების სწავლება და ტექნიკური დახმარება სასჯელაღსრულების სისტემის გამჭვირვალობის გაზრდის, პატიმართა უფლებების დაცვისა და ჰუმანური საპატიმრო პირობების

ხელშეწყობის მიზნით სამხრეთ კავკასიაში; საზოგადოებრივი მონიტორინგის ფუნქციონირების ლობირება;

პატიმართა და პრობაციონერთა რეაბილიტაციის/ რესოციალიზაციის ხელშეწყობა ლობირებისა და მცირე საგრანტო პროექტების განხორციელების მხარდაჭერის გზით (სამოქალაქო ინიციატივების მხარდაჭერა ნორვეგიის კანონის უზენაესობის მრჩეველთა მისიასთან თანამშრომლობით (NORLAG);
საკანონმდებლო საკითხებზე მუშაობა წამების აღკვეთასთან და საერთაშორისო სტანდარტების გამოყენების ხელშეწყობასთან დაკავშირებით;

სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის გაზრდა სისხლის სამართლის პოლიტიკის განხილვის პროცესებში;

საქართველოს პრობაციის ეროვნული სამსახურისა და პრობაციის რეფორმის ხელშეწყობა; ალტერნატიული, არასაპატიმრო ღონისძიებების გამოყენების წახალისება; საქართველოში საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის დანერგვის ხელშეწყობა;

ექსპერტული დახმარება სასჯელაღსრულების კანონმდებლობასა და რეფორმის სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით;

ეფექტური არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის დამკვიდრების ხელშეწყობა საქართველოსა და სომხეთში; არასრულწლოვან პრობაციონერთა და კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვთა რეაბილიტაციის პილოტური პროგრამების განხორციელება;

პატიმარი ქალების რესოციალიზაციის ხელშეწყობა სხვადასხვა პროფესიული და საგანმანათლებლო, სარეაბილიტაციო პროგრამების დანერგვით, ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით; ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ გაეროს წესების („ბანგკოკის წესების“) დანერგვის ხელშეწყობა; ქალთა პატიმრობის საკითხებზე კვლევების ჩატარება;

უვადო თავისუფლების აღკვეთის გამოყენებისა და ამ სასჯელშეფარდებულ პირთა თავისუფლების აღკვეთის პირობების კვლევა.

„ციხის საერთაშორისო რეფორმა“ წარმოდგენილია საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან შექმნილი სისხლის სამართლის რეფორმის უწყებათშორის საკოორდინაციო საბჭოში, აგრეთვე საბჭოსთან არსებული სასჯელაღსრულების, პრობაციისა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის სამუშაო ჯგუფებში. ორგანიზაცია აგრეთვე მონაწილეობს წამების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი უწყებათშორისი საბჭოს მუშაობაში.

ჩვენი პარტნიორი ორგანიზაციები:

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი (GCRT)

ასოციაცია „ქალი და ბიზნესი“

საქართველოს ზიანის შემცირების ქსელი (GHRN)

წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის ცენტრი „ემპათია“

ახალგაზრდები სამართლიანობისათვის (YFJ)

„კონსტიტუციის 42-ე მუხლი“

„საზოგადოებრივი დამცველი“

„სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი“ (CSI) - სომხეთი

ფონდი „ბავშვთა მხარდაჭერის ცენტრი“ (CSCF-FAR) – სომხეთი

„სომხეთის ჰელსინკის კომიტეტი“ - სომხეთი

დემოკრატიის ინსტიტუტი

ადამიანის უფლებათა ცენტრი – საქართველო

ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელი

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში – საქართველო“

,, ადამიანის უფლებათა ცენტრი“ – აზერბაიჯანი

„აზერბაიჯანის წამების საწინააღმდეგო კომიტეტი“
- აზერბაიჯანი

ქალთა კლუბი ,,პეონი“

ჩვენი დონორები:

ევროკავშირი/ევროკომისია;

ღია საზოგადოების ფონდები (OSF);

ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი;

ნორვეგიის კანონის უზენაესობის მრჩეველთა მისია საქართველოში (NORLAG);

ჰოლანდიის საელჩო

ბრიტანეთის საელჩო

მიმდინარე და ახლად დასრულებული პროექტები:

სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის გაზრდა პენიტენციურ დაწესებულებებში პრევენციისთვის



დონორი: ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი

ბიუჯეტი: 21, 437 ლარი

ხანგრძლივობა: 5 თვე (2013 ივნისი – ოქტომბერი)

პროექტის საერთო მიზანი: სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმართა ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტების გაუმჯობესება და ხელშეწყობა.

პროექტის სპეციფიკური მიზნები:

წამებისა და არასათანადო მოპყრობის აღკვეთასა და ციხეებში დაავადებების პრევენციის საკთხებში სამოქალაქო საზოგადოების როლის გაძლიერება;

პატიმართა პრობლემების იდენტიფიკაცია, საზოგადოების ინფორმირებულობის და სახელმწიფო უწყებების ანგარიშვალდებულებების გაზრდა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებული მდგომარეობის შესახებ;

ალტერნატიული/საზოგადოებრივი მონიტორინგის მექანიზმების შექმნის ადვოკატირება/ლობირება და ეროვნული პრევენციული მექანიზმის საქმიანობის ხელშეწყობა;

საერთაშორისო კონვენციებსა და საუკეთესო პრაქტიკაზე დაფუძნებული რეკომენდაციების გაცემა სახელმწიფო ინსტიტუტებისათვის პატიმართა პირობების გაუმჯობესებისათვის.

მონიტორინგის მიზანია სასჯელაღსრულების დაწესებულებების კომპლექსური ინსპექტირება და იმ ფაქტორების გამოვლენა, რომლებიც არსებით გავლენას ახდენს პატიმართა უფლებრივ მდგომარეობაზე. მონიტორინგის დროს შესწავლილი იქნება პატიმართა სამართლებრივი პრობლემები, გასაჩივრების შიდა მექანიზმები დაწესებულებებში, დისციპლინური სახდელების პრაქტიკა, პაემნებით სარგებლობის უფლების რეალიზაცია, კომუნიკაცია გარესამყაროსთან, საყოფაცხოვრებო პირობები, სამედიცინო მომსახურების ხარისხი და სხვა.

პროგრამის პარტნიორობის ხელშეკრულება (PPA)

დონორი: გაერთიანებული სამეფოს საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტი (DFID)

პროექტის საერთო (გლობალური) ბიუჯეტი:

1,243,584 ფუნტი სტერლინგი

განხორციელების პერიოდი: 2011-2013 წ.

პროგრამის პარტნიორობის ხელშეკრულება წარმოადგენს ციხის რეფორმის ხელშეწყობის პროგრამას რომელიც, ხორციელდება ექვს გლობალური რეგიონში (ცენტრალური აზია, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები, შუა აზია, ჩრთილოეთ აფრიკა, აღმოსავლეთ აფრიკა) მათ შორის სამხრეთ კავასიაშიც, კერძოდ სომხეთში, აზერბაიჯანში და საქართველოში.

თემატურად, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ღI მუშაობს შემდეგ მიმართულებებზე:

ციხეების გადატვირთულობის შემცირება და ალტერნატიული სასჯელების გამოყენების ხელშეწყობა;

ადვოკატირება წამების პრევენციისა და სიკვდილით დასჯის გაუქმებისათვის;

აღდგენითი მართლმსაჯულებაზე დაფუძნებული ღონისიძიებების გამოყენების ხელშეწყობა არასრულწლოვნების მიმართ, რომლებიც იმყოფებიან კონტაქტში და კონფლიქტში კანონთან;

სისხლის სამართლის სისტემაში ქალებისა და გოგონების მიმართ მოპყრობისა და პირობების გაუმჯობესება.

პროექტის ფარგლებში „ციხის საერთაშორისო რეფორმის“ სამხრეთ კავკასიის ოფისის მიერ განხორციელდა სხვადასხვა სახის ღონისძიებები, მოეწყო შეხვედრები, რეგიონული და ადგილობრივი მრგვალი მაგიდები სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების, არასამთავობო/საერთაშორისო ორგანიზაციების და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების მონაწილეობით, რომლებიც მუშაობენ და დაინტერესებულები არიან სისხლის სამართლის მართლმსაჯულების საკითხებით.

პროექტის ფარგლებში მომზადდა და გამოიცა შედეგი პუბლიკაციები:

უვადო თავისუფლების აღკვეთისა და გრძელვადიანი სასჯელების გამოყენება და აღსრულება საქართველოში;

საქართველოში პოლიციისა და პატიმრობის დაწესებულებებში ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და აღმოფხვრის შესახებ კანონმდებლობისა და პოლიტიკის მიმოხილვა;

ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ (ბანგკოკის წესები) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესებთან შესაბამისობის ინდექსი, რომელიც ასახავს ქალთა პატიმრობის სტანდარტებს სამხრეთ კავკასიის ქვეყნების პენიტენციურ სისტემებში;

ქალ დამნაშავეთა მახასიათებლების, მათზე და მათ შვილებზე პატიმრობის გავლენის შესახებ; ასევე არსებული ტენდენციების, პრობლემებისა და ქალთა დანაშაულებრივ ქცევასთან დაკავშირებული ფაქტორების, სოციალური რეინტეგრაციის საჭიროებებზე რეაგირების ეფექტურობის მიმოხილვა „ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ,,ბანგკოკის წესების“ მიხედვით.

9 პოსტ საბჭოთა ქვეყანაში (ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, ბალორუსია, რუსეთი და უკრაინა)

წამების პრევენციის მიზნით ინსტიტუტებისა და სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება

დონორი: ევროკავშირი

ხანგრძლივობა: 36 თვე (2010 წ. ოქტომბერი – 2013 წ. ოქტომბერი)

ბიუჯეტი: 1, 413 657 ევრო

პროექტის საერთი მიზანი: წვლილი შეიტანოს ციხეებში და სხვა თავისუფლებისაღკვეთისდაწესებულებებში(მათშორისპოლიციის საკნებში, ფსიქიატრიულ დაწესებულებებში, არასრულწლოვანთა ცენტრებში, მოხუცებულთა თავშესაფრებში და სამხედრო საპატიმრო დაწესებულებებში) წამების აღმოფხვრაში.

პროექტის სპეციფიკური მიზნები:

წამებასთან ბრძოლის მთელი რიგი მექანიზმებისა და ინსტიტუტების, მათ შორის ისეთი ორგანოების, როგორიცაა პრევენციის ეროვნული მექანიზმი (NPM) გაძლიერება, მხარდაჭერა და განვითარება;

სამოქალაქო საზოგადოების განვითარება და გაძლიერება თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებისა და დახურული ინსტიტუტების მონიტორინგისა და შესაბამის სახელისუფლებო ორგანოებთან, მათ შორის პრევენციის ეროვნულ მექანიზმთან, ეფექტური თანამშრომლობის მიზნით;

ჰოლისტიკური და სრულყოფილი პროგრამების ადვოკატირება არსებული საერთაშორისო კარგი პრაქტიკის მოდელების საფუძველზე.

პარტნიორები: წამების პრევენციის ასოციაცია, წამების მსხვერპლთა თანადგომის სამედიცინო ფონდი

სამიზნე ჯგუფები: შესაბამისი სამინისტროები, დეპარტამენტები,

ხელისუფლების წარმომადგენლები და სააგენტოები (მათ შორის, თავისუფლებააღკვეთილ პირებთან მომუშავე და მათზე ზედამხედველი პირები თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში) და ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოება, მათ შორის აკადემიური და მკვლევართა ჯგუფები, არასამთავრობო ორგანიზაციები, პროფესიული ასოციაციები, სამედიცინო სფეროს წარმომადგენლები, ჟურნალისტები და სხვა.

საბოლოო გენეფიციარები: წამების პირდაპირი და პოტენციური მსხვერპლები

მოსალოდნელი შედეგები:

ფაქტებზე დამყარებული ადვოკატირება რიგი მექანიზმებისა და ინსტიტუტების განვითარების მიზნით, რეგიონში წამების მასშტაბებისა და მოქმედების არეალის შესამცირებლად

ჩთ ხელმოწერა და რატიფიცირება, იმ ქვეყნებში, სადაც ჯერ არ მომხდარა (9-დან 6 ქვეყანაში)

პრევენციის ეროვნული მექანიზმების ჩამოყალიბება (სადაც

საჭიროება მოითხოვს) და მისი ეფექტური ფუნქციონირება

ხელისუფლებასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის წამების პრევენციის საკითხებზე დიალოგის გაზრდილი დონე

სამოქალაქო საზოგადოების უნარების გაძლიერება თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში, მათ შორის ციხეებში, მონიტორინგისთვის

რეაბილიტაციის საუკეთესო მაგალითების ხელშეწყობა და ადვოკაცია

პატიმრებისა და დაპატიმრებულთა ყველაზე მოწყვლადი ჯგუფებისთვის დამხმარე სერვისებისადმი წვდომის ზრდის ხელშეწყობა.

ძირითადი აქტივობები:

მეთოდოლოგიის განვითარება და კვლევა

რეკომენდაციებისა და კვლევის გამოცემა, გავრცელება და პრომოცია. წამების პრევენციის საერთაშორისო და რეგიონული სახელმძღვანელო პრონციპების განხილვა

ტრენინგები რეაბილიტაციისა და წამების პრევენციის საკითხებზე

ტრენერთა ტრენინგი რეაბილიტაციის საკითხებზე

ონლაინ ფორუმის ჩამოყალიბება ეროვნული პრევენციის მექანიზმების შესახებ კანონმდებლობისა და სხვა ინფორმაციის განვითარებისა და გაზიარების მიზნით

რეაბილიტაციის ეროვნული მოდულების შეფასება და პოზიტიური პრაქტიკის მაგალითების პრომოცია

მცირე გრანტების სქემის ადმინისტრირება

„საქართველოში პატიმრობის ჭარბად გამოყენებისა და ციხის გადატვირთულობის შემცირება“

დონორი: ევროკავშირი

ბიუჯეტი: 94, 995 ევრო

ხანგრძლივობა: 30 თვე (2010 წ. დეკემბერი – 2013 წ. ივნისი)

პარტნიორი: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია)

პროექტის საერთო მიზანი: საქართველოში სისხლის სამართლის რეფორმის განხორციელებაში წვლილის შეტანა, განსაკუთრებით, რეპრესიული მიდგომების ლიბერალიზაციის ხელშეწყობით, სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის გზით.

პროექტის სპეციფიკური მიზნები:

ვადამდე გათავისუფლების (პირობითი და სხვა სახის ვადამდე გათავისუფლება) სისტემის გაუმჯობესების ადვოკატირება, მხარდაჭერა და მისი გამოყენების ზრდა;

„სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა სისხლის სამართლის სისტემის ჰუმანიზაციის პროცესში“

თავისუფლების აღკვეთის ალტერნატიული (საზოგადოებრივი სანქციები) გამოყენების ზრდის ხელშეწყობა. ასევე ალტერნატიული ზომების წახალისება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში (განრიდება, მედიაცია, აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიებები).

სისხლის სამართლის რეფორმის პროცესში სამოქალაქო საზოგადოებისჩართულობის ზრდა, განსაკუთრებითრეპრესიული მიდგომების ჰუმანიზაციის შესახებ ადვოკატირებისა და პოლიტიკური დიალოგის თვალსაზრისით.

დონორი: ,,ღია საზოგადოების ინსტიტუტი" (OSI)
ბიუჯეტი: 118,000 აშშ დოლარი

ხანგრძლივობა: 36 თვე, 2 ეტაპად (2010 წ. ივნისი – 2013 წ. ივნისი)

პროექტის საერთო მიზანი: საქართველოში პატიმრობის ჭარბად გამოყენების შემცირების ხელშეწყობა და ციხის პოპულაციის შემცირებაში წვლილის შეტანა

პროექტის ძირითადი მიზანია ყურადღება გაამახვილოს საქართველოს ციხეებში გადატვირთულობის პრობლემაზე, ასევე მოსამართლეების მიერ თავისუფლების აღკვეთის გადაჭარბებით გამოყენებაზე, ხანგრძლივი სასჯელებისა და არაადეკვატური სისტემის გამო პატიმართა არაპროპორციულად მაღალ რაოდენობაზე.

პროექტის სპეციფიკური მიზნები:

საქართველოს მასშტაბით საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის, როგორც ალტერნატიული სასჯელის გამოყენების ზრდის მხრდაჭერა;

პირობით ვადამდე გათავისუფლების ეფექტური სისტემის დაარსების ხელშეწყობა.

პარტნიორული პროექტები:

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი
დონორი: ევროკავშირი
ბიუჯეტი: 99,500 ევრო.
ხანგრძლივობა: 18 თვე (2012 წ. იანვარი – 2013 წ. ივნისი).

„ზიანის შემცირება – რეპრესიული თუ მტკიცებულებებზე დამყარებული ჩარევა: თემის გაძლიერების, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და ინფორმირებული პოლიტიკის ხელშეწყობა საქართველოში“

პროექტის ძირითადი მიზნები:

ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების მიმართ პატივისცემის გაზრდა იმ რეგიონებში სადაც განსაკუთრებული რისკ ფაქტორები არსებობს;

სამოქალაქო საზოგადოების როლის გაძლიერება ადამიანის უფლებების დაცვისა და დემოკრატიული რეფორმების ხელშეწყობის მიზნით, ჯგუფური ინტერესების მშვიდობიანი შერიგების მხარდაჭერაში და პოლიტიკური მონაწილეობისა და წარმომადგენლობის კონსოლიდაციაში.

პროექტის სპეციფიკური მიზნები:

ნარკოტიკების მომხმარებელთა საზოგადოების გაძლიერება საზოგადოებაში რეინტეგრაციის ადვოკატირებისათვის;

სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება ნარკორკოტიკების მოხმარების შესახებ, როგორც საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხი;

დიალოგის ხელშეწყობა პოლიტიკის შემმუშავებლებს, სამოქალაქო საზოგადოებასა და მომხმარებელთა საზოგადოებას შორის ხელი შეუწყოს მტკიცებულებებზე დამყარებული პოლიტიკის პასუხების შემუშავებას საქართველოში ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებით.

„ციხის საერთაშორისო რეფორმამ", მიმოხილული პროექტის ფარგლებში, როგორც პარტნიორმა ორგანიზაციამ განახორციელა სხვადასხვა სახის აქტივობები.

PRI- ს მიერ შემუშავებულ იქნა საქართველოს ნარკოპოლიტიკის სამართლებრივი ანალიზი, რომელიც ასახავს პერიოდს 2006 წლიდან 2012 წლის ივლისის ჩათვლით. ასევე პროექტის ფარგლებში მომზადდა მეორე კვლევა საქართველოში ინექციური ნარკოტიკების მომხმარებლებზე ნარკოპოლიტიკის სოციალური და ეკონომიკური გავლენის შესახებ. აგრეთვე ჩატარდა რამდენიმე სამუშაო ჯგუფის შეხვედრა სხვადასხვა პრობლემურ თემატიკაზე ხელისუფლების, სამოქალაქო საზოგადოების და მომხმარებელთა თემის წარმომადგენლების მონაწილეობით.

„ქალ პატიმართა რესოციალიზაციის ხელშეწყობა"

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ქალი და ბიზნესი

დონორი: ევროკავშირი

პროექტის ხანგრძლივობა: 24 თვე (2011 წ. დეკემბერი – 2013 წ. დეკემბერი)

პროექტის პარტნიორები: სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო, სასჯელაღსრულების დეპარტამენტი, ციხის ადმინისტრაცია, „ციხის საერთაშორისო რეფორმა", ქალთა კლუბი "პეონი", საქართველოს პროფესიონალ ფსიქოლოგთა ასოციაცია

პროექტის მიზნები: პატიმარ ქალთა რესოციალიზაციის ხელშეწყობა და მათი გენდერულად სპეციფიური საჭიროებების გათვალისწინების უზრუნველყოფა; მათთვის

აქტუალური საკითხების შესახებ ცნობიერების ამაღლების საშუალებით პატიმარ ქალთა გათავისუფლებისათვის მზადების ხელშეწყობა, სხვადასხვა სოციალური საკითხების გადაწყვეტაში მათთვის დახმარების გაწევა, პატიმარ ქალთა გათავისუფლებისთვის მზადებისა და გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისთვის პოტენციალის შექმნა.

სამიზნე ჯგუფები: პატიმარი ქალები, რომლებიც ექვემდებარებიან პირობით გათავისუფლებას, შეწყალებას; ციხის თანამშრომლები.

საბოლოო ბენეფიციარები: პატიმარი ქალები, მათი ოჯახები სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო, საზოგადოება.

სავარაუდო შედეგები: პატიმარ ქალთა სოციალური, შრომითი და სხვა უფლებების რეალიზაციის გაუმჯობესება; გათავისუფლებისათვის მზადმყოფი მსჯავრდებული პატიმარი ქალები; გენდერული სპეციფიურობის გათვალისწინებით პატიმარ ქალთა გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების მიღების გაუმჯობესებული პოტენციალი; საჭიროებაში მყოფ პატიმარ ქალთათვის გაწეული სოციალური, ფსიქოლოგიური და იურიდიული დახმარება; ამაღლებული ცნობიერება

პატიმარ ქალთა გენდერულად სპეციფიური საჭიროებების შესახებ.

ძირითადი საქმიანობები: ტრენინგი სამუშაო უნარ-ჩვევებში, პროფესიული და საბაზისო ბიზნეს კურსები პატიმარ ქალთათვის; ქალთა ციხეში პოტენციურ დამსაქმებელთა ვიზიტების ორგანიზება; პატიმართათვის სოციალური, ფსიქოლოგიური და იურიდიული დახმარების გაწევა; ტრენინგი პატიმართა და ციხის თანამშრომელთათვის „პატიმარ ქალთა მოპყრობის შესახებ ბანგკოკის წესების“ თაობაზე; ციხის ადმინისტრაციის თანამშრომელთათვის და პირობით ვადამდე გათავისუფლების საბჭოს წევრთათვის სემინარი პატიმარ ქალთა გათავისუფლებისთვის მზადების შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისას მათი გენდერულად სპეციფიური საჭიროებების გათვალისწინების საკითხებზე; ღონისძიებები ცნობიერების ამაღლების მიზნით, მათ შორის პატიმარ ქალთა პატიმრობის შესახებ მრგვალი მაგიდის ორგანიზება.

პროექტი მიზნად ისახავს წვლილი შეიტანოს საქართველოში მიმდინარე სისხლის სამართლის სისტემის მიმდინარე რეფორმაში, კერძოდ კი, საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემაში ქალ მსჯავრდებულთა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის ხელშეწყობას, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების დანერგვას (მათ შორის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენცია, ციხის ევროპული წესები, ბანგკოკის წესები და ა.შ.).